

ფინანსური ანგარიშგება

შპს “ქართულ-ამერიკული
უნივერსიტეტი”

2018 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	7

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	5,034,941	5,284,511
არამატერიალური აქტივები		13,614	16,658
		5,048,555	5,301,169
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	5	337,210	329,519
მოთხოვნები და გადახდილი ავანსები	6	234,772	229,808
წინასწარ გადახდილი გადასახადები		41,848	26,834
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	7	3,050,611	1,987,840
		3,664,441	2,574,001
სულ აქტივები		8,712,996	7,875,170
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
საწყხდებო კაპიტალი	8	89,566	89,566
აკუმულირებული მოგება/ზარალი		3,815,443	3,256,848
სულ კაპიტალი		3,905,009	3,346,414
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	9	2,274,151	3,239,321
		2,274,151	3,239,321
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		26,235	19,663
მიღებული ავანსები		1,410,077	198,522
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	9	1,070,640	1,036,880
გადასახდელი პროცენტი	9	26,884	34,370
		2,533,836	1,289,435
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		8,712,996	7,875,170

რობერტ მაიკლ ქაუგილი
პრეზიდენტი

სპარტაკ თევდორაშვილი
ფინანსური დირექტორი

თანდართული შენიშვნები 7-15 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
<i>შემოსავალი</i>			
სწავლის გადასახადი		5,231,380	4,968,555
სხვა შემოსავლები მომსახურებიდან		34,197	37,511
მიღებული გრანტი	10	54,522	118,573
<i>სულ შემოსავლები</i>		5,320,099	5,124,639
<i>ხარჯები</i>			
ხელფასები და პონორარები		(3,147,752)	(2,915,574)
ცვდების და ამორტიზაციის ხარჯი		(315,400)	(330,655)
სხვა საერთო ხარჯები	11	(1,020,022)	(1,003,457)
<i>სულ ხარჯები</i>		(4,483,174)	(4,249,686)
<i>გაცვლითი კურსისა და საპროცენტო შემოსავლები/(ხარჯები)</i>			
წმინდა საპროცენტო შემოსავლები/(ზარალი)		(228,839)	(295,378)
საკურსო მოგება/(ზარალი)		(49,491)	130,075
<i>სულ გაცვლითი კურსის და საპროცენტო შემოსავლები/(ხარჯები)</i>		(278,330)	(165,303)
მოგება დაბეგვრამდე		558,595	709,650
საგადასახადო სარგებელი/(ხარჯი)		-	-
წმინდა მოგება		558,595	709,650

თანდართული შენიშვნები 7-15 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე მოგება-ზარალისა და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

ლარი	გაუნაწილებელი მოგება/ (აკუმულირებული ზარალი)		
	საწესდებო კაპიტალი	სულ	
2017 წლის 1 იანვარი	89,566	2,757,723	2,847,289
მოგება/(ზარალი) წლის განმავლობაში	-	709,650	709,651
მთლიანი სრული შემოსავალი	-	709,650	709,651
დივიდენდები	-	(210,525)	(210,526)
მფლობელებთან დაკავშირებული ტრანზაქციები	-	(210,525)	(210,526)
2017 წლის 31 დეკემბერი	89,566	3,256,848	3,346,414
მოგება/(ზარალი) წლის განმავლობაში	-	558,595	558,595
მთლიანი სრული შემოსავალი	-	558,595	558,595
დივიდენდები	-	-	-
მფლობელებთან დაკავშირებული ტრანზაქციები	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	89,566	3,815,443	3,905,009

თანდართული შენიშვნები 7-15 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ლარი	2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
<i>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</i>		
სწავლის გადასახადიდან მიღებული ფულადი სახსრები	6,263,707	4,895,569
სხვა შემოსავლებიდან მიღებული ფულადი სახსრები	30,702	39,304
მიღებული გრანტები	205,179	118,573
გადახდილი ხელფასები	(2,518,802)	(2,915,574)
მომწოდებლისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(1,565,045)	(741,318)
გადახდილი გადასახადები	(70,367)	(2,512)
საბანკო მომსახურება	(4,240)	(2,620)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2,341,134	1,391,422
<i>ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</i>		
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები	(62,785)	(23,065)
მიღებული პროცენტები	7,194	3,889
წმინდა ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან	(55,591)	(19,176)
<i>ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან</i>		
გადახდილი დივიდენდები	-	(210,526)
გადახდილი პროცენტი	(241,969)	(309,314)
დაფარული სესხები	(1,006,560)	(1,012,270)
წმინდა ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან	(1,248,529)	(1,532,110)
წმინდა ფულის მატება/(კლება)	1,037,014	(159,864)
საკურსო სხვაობის გააღწევა ფულზე	25,757	(3,149)
ფული საბანკო ანგარიშებზე და ხელზე პერიოდის დასაწყისში	1,987,840	2,150,853
ფული საბანკო ანგარიშებზე და ხელზე პერიოდის ბოლოს	3,050,611	1,987,840

თანდართული შენიშვნები 7-15 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი ინფორმაცია და საქმიანობა

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი (შემდგომში „კომპანია“ ან „გაუ“) დაფუძნდა 2005 წლის თებერვალში ქ. თბილისში, საქართველოში და 21/01/2005 იგი ოფიციალურად დარეგისტრირდა თბილისის ისანი-სამგორის საოლქო სასმართლოს მიერ. კომპანიის რეგისტრირებული იურიდიული მისამართია: ალექსიძის ქ. №8, თბილისი, საქართველო.

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მიზანია სტუდენტების აკადემიური ცოდნის ამაღლება და მათთვის შესაბამის დარგებში უმაღლესი განათლების მიცემა.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქციონერთა სტრუქტურა შემდეგნაირია (იგივე სტრუქტურა იყო 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით):

აქციონერი	წილი
რობერტ მაიკლ ქაუგილი	25.50%
თამარ ციციშვილი ქაუგილი	24.50%
საქართველოს უნივერსიტეტი	14.00%
ნინო ტორონჯაძე	10.00%
კენეთ. ე. ქაბაშვილი	7.00%
რუსუდან ციციშვილი	7.00%
სოფიკო შუბლაძე	4.00%
თეიმურაზ ტორონჯაძე	4.00%
ლია მუხაშვილი	2.00%
ზაზა რუხაძე	1.00%
ხათუნა ჭანუკვაძე	1.00%
სულ	100.00%

დასაქმებულთა საშუალო რიცხვი 2018 წლის განმავლობაში შეადგენდა 199-ს. (2017: 181 დასაქმებული).

2 მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1 წარდგენის საფუძველები

კომპანია საქართველოში მოქმედი ბუღალტრული და საანგარიშგებო რეგულაციების მიხედვით წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს და ამავე რეგულაციებით მას მოეთხოვება ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

აქედან გამომდინარე, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად და წარმოდგენილია ქართულ ლარებში.

2.2 ამონაგებების აღიარება

ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. კომპანიის ამონაგები ძირითადად შედგება ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ გადახდილი გადასახდელებისგან.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ შემთხვევაში, როდესაც იზრდება აქტივის ზრდასთან ან ვალდებულების შემცირებასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის თანხა.

ამონაგებში არ გაითვალისწინება მესამე მხარის სახელით/სასარგებლოდ მიღებული თანხები, როგორცაა, მაგალითად სახელმწიფოს სახელით ამოღებული დამატებითი ღირებულების გადასახადი. სააგენტო ურთიერთობებში, როდესაც კომპანია რწმუნებულის როლში გამოდის, ამონაგებში ჩაირთვება მხოლოდ საკომისიოს სახით მიღებული თანხები.

როდესაც შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება, კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს (ე.წ. "პროცენტული შესრულების მეთოდით"). ხელშეკრულების შესრულების სტადია განისაზღვრება სამუშაოების დასრულების პროპორციულობის მეთოდით.

სწავლის საფასურის გადახდებიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება საანგარიშგებო წელში მოხვედრილი შესაბამისი სასწავლო წლის თვეების პროპორციულად.

როდესაც მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია, კომპანია ამონაგებს აღიარებს მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში, თუკი ასეთი არის.

2.3 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

2.4 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი დაითვლება მიმდინარე საკანონმდებლო მოთხოვნების მიხედვით.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრავს ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).

მოგების გადასახადი წარმოქმნილი დივიდენდების განაწილებიდან, აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში როდესაც გამოცხადდება დივიდენდები, ფაქტობრივად გადახდის დღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომლის მიხედვითაც ნაწილდება დივიდენდები. საგადასახადო განაკვეთი არის წმინდა განაწილებული ოდენობის 15/85.

საგადასახადო ვალდებულებისათვის შესაძლებელია მოგების გადასახადის ჩათვლა, 2017 წელს ან მოგვიანებით ნებისმიერი გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდისათვის, წინა მოდელის მიხედვით 2016 წლამდე დაგროვილი მოგებიდან.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან.

2.5 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც:

- (ა) იმყოფება საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; და
- (ბ) გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

შენობები:	20 წელი
კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე აღჭურვილობა:	5 წელი
ავტო:	5 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

2.6 არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც ხუთ წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ამორტიზაცია შესწორდება პერსპექტიულად.

2.7 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისა განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია,

საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

კომპანია არ ახდენს მარაგების გაუფასურების ანალიზს, რადგან ჩვენი საქმიანობის სფეროდან და შინაარსიდან გამომდინარე არც რაიმე მარაგის რეალიზებას ვახდენთ და მარაგების ნაშთიც ყოველთვის ძალიან უმნიშვნელო თანხაა. თუკი, რომელიმე მოამბავალ პერიოდში მარაგები არსებითი თანხით იქნება წარმოდგენილი, კომპანია მოახდენს მათი გაუფასურების ანალიზს მის ფასის შესაბამისი განყოფილების მოთხოვნების მიხედვით.

2.8 იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

კომპანიას არ აქვს ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

2.9 სასაქონლო-მატერიალური შასულობები

კომპანიის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შედგება საკანცელარიო მასალებისა და ოფისის მოვლისთვის საჭირო სახარჯი მასალებისაგან, რომელთა აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება გაიანგარიშება FIFO მეთოდით.

2.10 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ფასდება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშდება ლარში, საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2.11 გადახდილი ან მიღებული ავანსები

გადახდილი და მიღებული ავანსები აღიარდება გადახდილი/მიღებული თანხის ოდენობით გადახდის/მიღების მომენტში. ავანსების გადაფასება არ ხდება სავალუტო კურსის მიხედვით და რჩება შეფასებული ისტორიული ღირებულებით.

გადახდილი ავანსების გაუფასურებაზე ტესტირება ხდება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს და თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ გადახდილი ავანსის შესაბამის საქონელს ან მომსახურებას კომპანია ვერ მიიღებს და თანხის უკან დაბრუნებაც შეუძლებელი იქნება, მაშინ გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2.12 ფული

ფული მოიცავს ფულად სახსრებს საღაროში და საბანკო ანგარიშებზე. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი ნაშთები გადაანგარიშდება ლარში, საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

2.13 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება ლარში, საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

2.14 ბანკის სმსხები და ომპრფრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

2.15 დაქირავეულ მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავეულ მომუშავეთა მოკლევადიანი გასამრჯელოების (მათ შორის ბონუსების) დანახარჯებად აღიარება ხდება იმ პერიოდში როდესაც თანამშრომლების მომსახურებას გასწევს.

კომპანიას არ აქვს რაიმე გრძელვადიანი გასამრჯელოების პროგრამები დაქირავეულთათვის და არ ახორციელებს წილობრივ გადახდებს.

3 ბანუზაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული პირითაღო წყაროები

საეჭვო ვალების რეზერვის შეფასება

საეჭვო ვალების რეზერვის შეფასება ხორციელდება თითოეული სტუდენტის მიხედვით, რომლებსაც შეჩერებული აქვთ სტატუსი სწავლის გადასახადის გადაუხდელობის გამო. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის შინაგანაწესის თანახმად, სტუდენტს სტატუსი შეიძლება შეუჩერდეს გადაუხდელობის გამო, უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით. კომპანიის მენეჯმენტი რეგულარულად ახორციელებს მოთხოვნების ხანდაზმულობის ანალიზს მის გამოცდილებაზე და სამომავლო მოლოდინებზე დაყრდნობით, თუმცა რეალური შედეგები მომავალში შესაძლოა განსხვავებული იყოს მენეჯმენტის მოლოდინებისაგან და შეფასებისგან.

4 ძირითადი საშუალებები

ლარი	მიწა	შენობები	კომპიუტერები და საოფისე აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა საოფისე ინვენტარი	სულ
<i>ღირებულება</i>					
2017 წლის 1 იანვარი	1,466,616	4,999,290	437,404	258,472	7,161,782
მატება	-	4,400	16,022	2,642	23,064
2017 წლის 31 დეკემბერი	1,466,616	5,003,690	453,426	261,114	7,184,846
მატება	-	-	36,677	26,109	62,786
2018 წლის 31 დეკემბერი	1,466,616	5,003,690	490,103	287,223	7,247,632
<i>დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება</i>					
2017 წლის 1 იანვარი	-	1,114,189	372,830	92,940	1,579,959
წლის ცვეთა	-	255,105	43,253	22,018	320,376
2017 წლის 31 დეკემბერი	-	1,369,294	416,083	114,958	1,900,335
წლის ცვეთა	-	254,146	34,936	23,274	312,356
2018 წლის 31 დეკემბერი	-	1,623,440	451,019	138,232	2,212,691
<i>საბალანსო ღირებულება</i>					
2017 წლის 31 დეკემბერი	1,466,616	3,634,396	37,343	146,156	5,284,511
2018 წლის 31 დეკემბერი	1,466,616	3,380,250	39,084	148,991	5,034,941

"ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის" ყველა შენობა, მიწა და მოწყობილობა, საბალანსო ღირებულებით 5,034,941 ლარი, დატვირთულია იპოთეკით (OPIC)-ისგან აღებული სესხის უზრუნველსაყოფად 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. (2017 წლის 31 დეკემბერი: 5,284,511 ლარი).

5 მარაბები

ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
წიგნები	336,968	328,804
სხვა	242	715
	337,210	329,519

6 მოთხოვნები და გაცემული ავანსები

ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
მისაღები სწავლის საფასური	284,101	308,056
გამოკლებული: საექვო მისაღები სწავლის საფასურების რეზერვი	(86,094)	(79,360)
მომსახურებაზე და საქონლის მომწოდებლებზე გაცემული ავანსები	35,882	662
დეპოზიტზე დარიცხული პროცენტი	883	450
	234,772	229,808

ყველა თანხა არის მოკლევადიანი.

მისაღები სწავლის საფასური ვალუტების მიხედვით განაწილებულია შემდეგნაირად

ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ლარში დენომინირებული მოთხოვნები	249,761	307,606
აშშ დოლარში დენომინირებული მოთხოვნები	34,340	450
	284,101	308,056

საექვო ვალების ცვლილება იხილეთ ქვემოთ:

ლარი	2018	2017
ბალანსი პერიოდის დასაწყისში	(79,360)	(74,424)
რეზერვის ზრდა პერიოდის განმავლობაში	(6,734)	(4,936)
ბალანსი პერიოდის ბოლოს	(86,094)	(79,360)

7 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ფული ხელზე ლარში	4,465	428
ლარი საბანკო ანგარიშებზე	952,989	953,201
აშშ დოლარი საბანკო ანგარიშებზე	1,934,418	1,000,883
ევრო საბანკო ანგარიშებზე	158,739	33,328
	3,050,611	1,987,840

8 კაპიტალი და რეზერვები

8.1 საწესდებო კაპიტალი

“გაუ“-ს საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. ცვლილება კომპანიის წესდებაში (მოიცავს ცვლილებას საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და ა.შ) ექვემდებარება მხოლოდ კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილების შემდგომ. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი,

კომპანიის კაპიტალში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უშუალოდ დამფუძნებლის შენატანი იყო კომპანიაში.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც გამოცხადდა.

8.2 დივიდენდები

2018 წელს დივიდენდები არ გადახდილა მფლობელებზე. 2017 წელს გადახდილი დივიდენდების ოდენობამ შეადგინა 210,525 ლარს.

9 სქსები

ლარი	მიმდინარე		გრძელვადიანი	
	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	1,097,524	1,071,250	2,274,151	3,239,321
	1,097,524	1,071,250	2,274,151	3,239,321

2013 წლის 24 აპრილს შპს. "ქართულ-ამერიკულმა უნივერსიტეტმა" გააფორმა გრძელვადიანი სასესხო ხელშეკრულება 3,500,000 აშშ დოლარზე უცხოურ კერძო საინვესტიციო კორპორაციასთან (OPIC). სესხი 10 წლიანია და ითვალისწინებს 6.43 % წლიურ განაკვეთს. OPIC-ი არის პირველი რანგის სამართლებრივი და კანონიერი მოსარგებლე კომპანიის ყველა აქტივზე. მიღებული თანხა გამოყენებულ იქნა ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის კამპუსის კეთილმოწყობისა და ახალი ადჰურვილობის შესაძენად. OPIC-თან დადებული სასესხო ხელშეკრულება მოითხოვს რამოდენიმე ფინანსური კოეფიციენტის დაცვას. ანგარიშგების თარიღისთვის კომპანია აკმაყოფილებს მოთხოვნილ კოეფიციენტებს.

OPIC-ის სესხი ასევე მოიცავს დივიდენდის გაცემასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს: კონტრაქტის მიხედვით თუკი კომპანია გასცემს დივიდენდს, იმ მოცულობით, რომელიც წინა წლის წმინდა მოგების 50%-ს აღემატება, მაშინ უნდა მოხდეს ამავე ოდენობის თანხის გადახდა სესხის ძირის დასაფარად.

10 მიღებული გრანტები

2018 წელს “გაუ“-მ “ომბუდსმენის პოზიციაზე სტუდენტების მიერ ადვოკატირების დამკვიდრების” (AESOP) პროექტის ხელშეკრულების თანახმად, ერასმუსის პროგრამის ფარგლებში, პარტნიორის სახით აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (კოორდინატორი) ერთად მიიღო გრანტი.

კონტრაქტის თანახმად, კოორდინატორი და პარტნიორი ერთობლივად იზრუნებენ საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნების მიღწევისთვის სხვა მხარეებთან (ბენეფიციარები) ერთად.

პროექტის მიზანს წარმოადგენს “სტუდენტების მიერ ადვოკატირების” პროცესის დახვეწა ბოლონიის პროცესთან კავშირში მოცემულ სამ ქვეყანაში პარტნიორ უნივერსიტეტებთან არსებული ომბუდსმენის ოფისების დაარსებით.

პროგრამა გრძელდება მანამ, სანამ კოორდინატორი სრულად არ შეასრულებს ერასმუსისა და საგანმანათლებლო, აუდიოვიზუალური და კულტურის აღმასრულებელი სააგენტოსგან წარმოშობილ ვალდებულებებს. საგრანტო ხელშეკრულების თანახმად “გაუ“-ს მიერ გრანტის სახით მისაღები საერთო თანხა

შეადგენს 47,507 ევროს. (145,851 ლარს 2018 წლის 31 დეკემბრის გაცვლითი კურსის შესაბამისად).

ბალანსში გრანტის თანხა არ არის აღრიცხული ბრუტო სახით, რადგანაც მენეჯმენტი მიიჩნევს რომ "გაუ" - სათვის გრანტის სახით მისაღები თანხის ფაქტობრივი ოდენობის განსაზღვრა შეუძლებელია, რადგანაც იგი დამოკიდებულია პროექტის ფარგლებში გაწეულ ხარჯებზე.

11 სხვა საერთო ხარჯები

ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
წარმომადგენლობითი ხარჯი	348,853	379,340
კომუნალური	98,726	92,416
მივლინება	65,065	39,423
საოპერაციო საგადასახადო ხარჯი	39,088	41,817
კონსულტაცია და იურიდიული მომსახურება	30,503	31,669
საკომუნიკაციო ხარჯი	25,607	19,136
საოფისე ნივთები	19,775	11,927
რეკლამა	17,355	21,621
საყოველთაო დაზღვევა	15,379	5,624
საექვო ვალები	6,734	124,349
იჯარის ხარჯი	3,233	-
სხვა საერთო ხარჯები	349,704	236,135
	1,020,022	1,003,457

12 ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით რაც გულისხმობს მისი აქტივებისა და ვალდებულებების შეფასებას ბიზნესის ჩვეულებრივი კურსის პირობებში.

13 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს დამფუძნებლები და ძირითადი ხელმძღვანელობა.

13.1 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

2018 წლის განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ტრანზაქციები:

ლარი		2018 წელი	2017 წელი
ტრანზაქციები			
მფლობელებისთვის გადახდილი დივიდენდები		-	210,526
ძირითადი მმართველი ჯგუფისთვის გადახდილი ანაზღაურება		362,125	394,688

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	5,034,941	5,284,511
არამატერიალური აქტივები		13,614	16,658
		<u>5,048,555</u>	<u>5,301,169</u>
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	5	337,210	329,519
მოთხოვნები და გადახდილი ავანსები	6	234,772	229,808
წინასწარ გადახდილი გადასახადები		41,848	26,834
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	7	3,050,611	1,987,840
		<u>3,664,441</u>	<u>2,574,001</u>
		<u>8,712,996</u>	<u>7,875,170</u>
სულ აქტივები			
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
საწესდებო კაპიტალი	8	89,566	89,566
აკუმულირებული მოგება/ზარალი		3,815,443	3,256,848
სულ კაპიტალი		<u>3,905,009</u>	<u>3,346,414</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	9	2,274,151	3,239,321
		<u>2,274,151</u>	<u>3,239,321</u>
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		26,235	19,663
მიღებული ავანსები		1,410,077	198,522
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	9	1,070,640	1,036,880
გადასახდელი პროცენტი	9	26,884	34,370
		<u>2,533,836</u>	<u>1,289,435</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		<u>8,712,996</u>	<u>7,875,170</u>

რობერტ მაიკლ ქაუგილი
პრეზიდენტი

სპარტაკ თევდორაშვილი
ფინანსური დირექტორი

 

თანდართული შენიშვნები 7-15 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.